

საქართველოს კანონი
აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების
ჩამორთმევის (შეზღუდვის) წესის შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება

1. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სასამართლო - შესაბამისი პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელიც განიხილავს ექსპროპრიატორის მიერ წარდგენილ საექსპროპრიაციო სარჩელს ან მესაკუთრის მიერ წარდგენილ ნებისმიერ სარჩელს კომპენსაციასთან დაკავშირებით.

ბ) დამოუკიდებელი ექსპერტი - ამ კანონის შესაბამისად სავარაუდო ექსპროპრიატორის მიერ დაქირავებული და/ან სასამართლოს მიერ დანიშნული კომპეტენტური პირი, რომელიც მონაწილეობს სათანადო კომპენსაციის განსაზღვრის პროცესში და რომელიც არ არის, პირდაპირ ან ირიბად, დაინტერესებული აღნიშნული პროცესის შედეგებით.

გ) ექსპროპრიატორი - სახელმწიფო ორგანო, საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, უცხოური კონსორციუმის ან ნებისმიერი სხვა წარმონაქმნი, რომელსაც სასამართლოს გადაწყვეტილებით მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება.

დ) საექსპროპრიაციო ქონება - აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამოსართმევი ან კანონიერი (იძულებითი) სერვიტუტით შესაზღუდი ქონება (საკუთრება).

ე) ექსპროპრიაციის უფლება - საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლისა და ამ კანონის შესაბამისად საკუთრების უფლების, ნებისმიერი სანიეთო ან ვალდებულებით-სამართლებრივი უფლების ჩამორთმევის ან ქონების კანონისმიერი (იძულებითი) სერვიტუტით დატვირთვის (შეზღუდვის) ერთჯერადი უფლება სათანადო კომპენსაციით.

ვ) ექსპროპრიაცია - საკუთრების უფლების, ნებისმიერი სანიეთო ან სახელშეკრულებო უფლების ჩამორთმევა ან ქონების კანონისმიერი (იძულებითი) სერვიტუტით დატვირთვა; აღნიშნული პროცესი მოიცავს ორ ფაზას:

პირველი ფაზა - სავარაუდო ექსპროპრიატორის მიერ წარდგენილ იქნება საექსპროპრიაციო სარჩელი, რომელსაც მოჰყვება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ადგენს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების არსებობას ექსპროპრიაციისათვის. თუ სასამართლო სავარაუდო ექსპროპრიატორს მიანიჭებს ექსპროპრიაციის უფლებას, ექსპროპრიატორს უფლება ექნება, შესაბამისი სასამართლოს მიერ სათანადო კომპენსაციის დადგენამდე დაიწყოს პროექტის სამუშაოები, იმ პირობით, რომ ექსპროპრიატორი ნოტარიუსის სადუპოზიტო ანგარიშზე განათავსებს სააქანსო თანხას, როგორც ეს ამ კანონით არის გათვალისწინებული.

მეორე ფაზა - სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება სათანადო კომპენსაციასთან დაკავშირებით.

ზ) სავარაუდო ექსპროპრიატორი - პროექტის განხორციელებით დაინტერესებული სახელმწიფო ორგანო, საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, უცხოური კონსორციუმი ან ნებისმიერი სხვა სამართლებრივი წარმონაქმნი, რომელსაც სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილებით სურს მოიპოვოს საქართველოს სახელმწიფოს სახელით ექსპროპრიაციის განხორციელების უფლება (იქცევა ექსპროპრიატორად).

თ) საიდენტიფიკაციო და სარეგისტრაციო სამუშაოები - სამუშაოები, რომელთაც სავარაუდო ექსპროპრიატორის მიმართვის საფუძველზე ახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და აფინანსებს სავარაუდო ექსპროპრიატორი იმ მიზნით, რომ დადგენილი (იდენტიფიცირებული) იქნეს საექსპროპრიაციო ქონება და მისი მესაკუთრენი და მოხდეს მათი რეგისტრაცია საქართველოს საჯარო რეესტრში (თუ ამ დროისათვის აღნიშნული სამუშაოები ჯერ არ ჩატარებულა).

ი) სააეანსო თანხა - თანხა სავარაუდო ექსპროპრიატორსა და მესაკუთრეს შორის მოლაპარაკებებისას სავარაუდო ექსპროპრიატორის მიერ შეთავაზებული თანხის 50%-ის ოდენობით, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს ნოტარიუსის სადებოზიტო ანგარიშზე ექსპროპრიატორის მიერ საექსპროპრიაციო ქონებაზე პროექტის სამუშაოთა დაწყებამდე.

კ) აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროება - მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვითარება ან გარემოება, რომლის დროსაც გამართლებულია ნებისმიერი პირის ქონება ჩამორთმევა ან შეზღუდვა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მიზნისათვის.

ლ) მესაკუთრე - პირი, რომელიც რეგისტრირებულია საექსპროპრიაციო ქონების მესაკუთრედ საქართველოს საჯარო რეესტრში.

მ) კანონისმიერი (იძულებითი) სერვიტუტი - გულისხმობს ექსპროპრიატორის სასარგებლოდ საექსპროპრიაციო ქონების რაიმე უფლებით ანაზღაურებად დატვირთვას იმგვარად, რომ ექსპროპრიატორს უფლება ჰქონდეს, ისარგებლოს საექსპროპრიაციო ქონებით მხოლოდ პროექტის მიზნებისათვის და/ან მესაკუთრეს შეეზღუდოს საექსპროპრიაციო ქონებით სარგებლობა პროექტის ინტერესებიდან გამომდინარე.

ნ) სათანადო ანაზღაურება (კომპენსაცია) - ექსპროპრიატორის მიერ მესაკუთრისათვის გადასახდელი ერთჯერადი ანაზღაურება საექსპროპრიაციო ქონების ჩამორთმევის და/ან შეზღუდვის სანაცვლოდ, შემდეგი ოდენობით:

I) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევაში - საექსპროპრიაციო ქონების სამართლიანი საბაზრო ფასი, რომელიც უნდა შეიცავდეს მესაკუთრისათვის მიყენებულ ნებისმიერ ზიანს, გამოწვეულს დარჩენილი უძრავი ქონების ღირებულების შემცირებით;

II) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევაში - საექსპროპრიაციო ქონების სამართლიანი საბაზრო ფასი, მიმდინარე სამეურნეო წელს მოსალოდნელი მოსავლის სამართლიანი საბაზრო ფასის გათვალისწინებით, პლუს მესაკუთრისათვის მიყენებული

იმ ზიანის ასანაზღაურებელი ღირებულება, რაც გამოწვეულია დარჩენილი ქონების ღირებულების შემცირებით;

III) ნებისმიერი სხვა ქონების (უფლების) ჩამორთმევის შემთხვევაში – ჩამოსართმევი ქონების (უფლების) სამართლიანი საბაზრო ფასი;

IV) კანონისმიერი (იძულებითი) სერვიტუტით დატვირთვის შემთხვევაში – თანხა, რომლითაც შემცირდა საექსპროპრიაციო ქონების სამართლიანი საბაზრო ფასი ასეთი დატვირთვის შედეგად; იმ შემთხვევაში, თუ დატვირთვა ითვალისწინებს საექსპროპრიაციო ქონებით სარგებლობის გარკვეული პერიოდით ჩამორთმევას, აღნიშნულ თანხას ემატება შესაბამისი ფართობის, მდებარეობისა და ხარისხის ქონების შესაბამისი პერიოდის იჯარის დისკონტირებული ღირებულება. ამასთან, საექსპროპრიაციო ქონებაზე კანონიერი (იძულებითი) სერვიტუტის დაწესების შემთხვევაში გადასახდელი სათანადო კომპენსაცია არ შეიძლება აღემატებოდეს იმავე საექსპროპრიაციო ქონების საკუთრების ჩამორთმევისას გადასახდელ სათანადო კომპენსაციას.

ო) სამართლიანი საბაზრო ფასი – ფასი, რომელსაც ყიდვის მსურველი გადაუხდოდა გაყიდვის მსურველს.

პ) პროექტი – მიზნებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომელიც უნდა განხორციელდეს ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების უზრუნველსაყოფად, რომლის დროსაც შესაძლებელია ადგილი აქონდეს საკუთრების ჩამორთმევას ან შეზღუდვას.

მუხლი 2. კანონის მიზანი

1. ამ კანონის მიზანია განსაზღვროს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭებისა და ექსპროპრიაციის განხორციელების წესი. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის პროექტის სასარგებლოდ ექსპროპრიაცია ხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფოს სახელით ექსპროპრიატორის მიერ, რომელსაც ამ კანონის შესაბამისად მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება.

2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაცია ხორციელდება შემდეგი საშუალებების წარმოების მიზნით:

- ა) გზებისა და მაგისტრალების მშენებლობისათვის;
- ბ) რკინიგზის ხაზების გაყვანისათვის;
- გ) ნედლი ნაეთობის, ბუნებრივი გაზისა და ნაეთობპროდუქტების მიღსადენების გაყვანისათვის;
- დ) გადამამუშავებელი მოწყობილობების მშენებლობისათვის;
- ე) ელექტროენერჯის გადამცემი და გამანაწილებელი ხაზების მშენებლობისათვის;
- ვ) წყალმომარაგების, კანალიზაციისა და ატმოსფერული ნალექების კოლექტორული ხაზების გაყვანისათვის;
- ზ) სატელეფონო ხაზების გაყვანისათვის;
- თ) სატელევიზიო კაბელების გაყვანისათვის;

- ი) საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებელი ნაგებობებისა და ობიექტების მშენებლობისათვის;
- კ) ეროვნული თავდაცვისათვის საჭირო სამუშაოებისათვის
- ლ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისთვის.

თავი II - ექსპროპრიაციის განხორციელება

მუხლი 3. ექსპროპრიაციამდე ჩასატარებელი მოქმედებები

1. ექსპროპრიაციამდე სავარაუდო ექსპროპრიატორი შეეცდება, შეისყიდოს საექსპროპრიაციო ქონება. სავარაუდო ექსპროპრიატორი საკუთარი ხარჯებით წერილობით აღწერს საექსპროპრიაციო ქონებას და ექსპროპრიაციიდან გამომდინარე ნებისმიერ შეზღუდვას ან ვალდებულებას მესაკუთრეზე. სავარაუდო ექსპროპრიატორი დაიჭირავენ და მოუკიდებელ ექსპერტს სავარაუდო ექსპროპრიატორის მიერ მესაკუთრისათვის გადასახდელი სათანადო კომპენსაციის ოდენობის შეფასების მიზნით. სავარაუდო ექსპროპრიატორმა არ უნდა შესთვალოს მესაკუთრეს შეფასებულ სათანადო კომპენსაციაზე ნაკლები, და დამოუკიდებელმა ექსპერტმა შეფასების ხელმოწერის გზით უნდა დაადასტუროს მისი თანხმობა მესაკუთრისათვის შეთავაზებულ სათანადო კომპენსაციაზე. მესაკუთრე უფლებაა მოსილია დაესწროს დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ მისი ქონების შეფასებას.

2. თუ მესაკუთრე მიიღებს სავარაუდო ექსპროპრიატორის შეთავაზებას საექსპროპრიაციო ქონების შესყიდვის თაობაზე მე-3 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, მხარეები გააფორმებენ კონტრაქტს, და სავარაუდო ექსპროპრიატორი გაიღებს ამგვარი გარიგების ნოტარიზებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ყოველგვარ ხარჯს.

3. თუ მესაკუთრე უარს განაცხადებს სავარაუდო ექსპროპრიატორის შეთავაზებაზე მე-3 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, სავარაუდო ექსპროპრიატორის მიერ მოწვეული ნოტარიუსი შეადგენს ოქმს, რომელშიც აღწერილი იქნება: (ი) საექსპროპრიაციო ქონება; და (იი) საექსპროპრიაციო ქონების სანაცვლოდ მესაკუთრისათვის შეთავაზებული თანხა. თუ მესაკუთრე არ ეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების აღწერას, ან თუ საექსპროპრიაციო ქონების მესაკუთრის ვინაობა ან ადგილსამყოფელი უცნობია, ნოტარიუსი, სავარაუდო ექსპროპრიატორის ხარჯებით, დაიჭირავენ ექსპერტს საექსპროპრიაციო ქონების აღწერის დასამოწმებლად. აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ სავარაუდო ექსპროპრიატორს უფლება აქვს, დაიწყოს ექსპროპრიაცია.

4. ექსპროპრიატორს არ აქვს უფლება, გადააუადოს სათანადო კომპენსაციის გადახდა მესაკუთრისათვის, ან განახორციელოს კანონით გაუთვალისწინებული რაიმე იძულებითი ქმედებები მოლაპარაკებებისას.

მუხლი 4. ინფორმაციის საჯარო გამოქვეყნება

საქართველო ექსპროპრიატორი ვალდებულია, სასამართლოში საქსპროპრიაციო სარჩელის შეტანამდე სულ ცოტა შვიდი კალენდარული დღით ადრე აცნობოს ადგილობრივი მმართველობის შესაბამის ორგანოებს მოსალოდნელი ექსპროპრიაციის შესახებ, და უზრუნველყოს პროექტისა და მისი განხორციელების მასშტაბების მოკლე აღწერილობის შემცველი ინფორმაციის გამოქვეყნება ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, იმ მიზნით, რომ საქსპროპრიაციო ქონების მესაკუთრეებისათვის (მფლობელებისათვის) და სხვა დაინტერესებული პირებისათვის კიდევ ერთხელ ცნობილი გახდეს საქართველო ექსპროპრიაციის შესახებ.

მუხლი 5. საქსპროპრიაციო სარჩელი

1. იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ექსპროპრიატორი და მესაკუთრე ვერ მიაღწევენ შეთანხმებას მე-3 მუხლის შესაბამისად, საქართველო ექსპროპრიაციო ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე სარჩელით მიმართავს შესაბამის სასამართლოს. საქსპროპრიაციო სარჩელები განიხილება სათანადო კომპენსაციის დადგენასთან დაკავშირებული სარჩელებისაგან გამოცალკევებით.

2. საქართველო ექსპროპრიატორმა სასარჩელო განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) იმ პროექტის აღწერა, რომლის განსახორციელებლად მოითხოვება ექსპროპრიაციის უფლება;
- ბ) საქსპროპრიაციო ქონების დეტალური აღწერა;
- გ) ადგილობრივი და ცენტრალური გაზეთების ეგზემპლარები, რომლებიც შეიცავენ მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- დ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო ნოტარიუსის მიერ შედგენილი ოქმი.

მუხლი 6. სასამართლოს გადაწყვეტილება საქსპროპრიაციო სარჩელზე

1. სასამართლო საქსპროპრიაციო სარჩელს განიხილავს ამ კანონისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების დადგენისა და საქართველო ექსპროპრიატორისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების შემთხვევაში, ამ უკანასკნელს უფლება ენიჭება დაუყოვნებლივ დაიწყოს პროექტის სამუშაოები საქსპროპრიაციო ქონებაზე იმ პირობით, თუ იგი გადაიხდის სააგანსო თანხას. გადაიხდა ხორციელდება ექსპროპრიატორის მიერ ასეთი თანხის ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების გზით.

3. ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე სააგანსო თანხის განთავსებისთანავე სასამართლოს გადაწყვეტილება ექსპროპრიაციის შესახებ დაუყოვნებლივ აღსრულდება.

4. ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს:

- ა) საქსპროპრიაციო ქონების დეტალური აღწერას;

- ბ) საექსპროპრიაციო ქონების ექსპროპრიაციისათვის ან უფლებრივი დატვირთვისათვის საზოგადოებრივი აუცილებლობის არსებობის დადასტურებას;
- გ) იმ პირის ვინაობას, რომელსაც ენიჭება ექსპროპრიაციის უფლება;
- დ) ექსპროპრიატორის მიერ ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე განსათავსებელი სააქანსო თანხის ოდენობის მითითებას.

5. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების ან მინიჭებაზე უარის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

6. პროექტისა და/ან საექსპროპრიაციო ქონების აღწერა-შეფასების სამუშაოების დაწყების მიზნით საექსპროპრიაციო ქონებაზე შეღწევისას მე-3 მუხლის შესაბამისად, აგრეთვე საკუთრებაზე პროექტის სამუშაოების შემდგომ პერიოდში, აკრძალულია სავარუდო ექსპროპრიატორისათვის, ექსპროპრიატორისათვის, მათი წარმომადგენლებისა ან სხვა უფლებამოსილი პირებისათვის ხელის შეშლა პროექტის სამუშაოების განხორციელებაში.

7. დაუშვებელია პროექტის სამუშაოების რაიმე დროს შეჩერება სააპელაციო სასამართლოში ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების ან სათანადო კომპენსაციის თაობაზე სარჩელების განხილვის გამო.

მუხლი 7. დავა სათანადო კომპენსაციაზე

1. თუ ექსპროპრიატორი და მესაკუთრე ვერ თანხმდებიან სათანადო კომპენსაციის თანხის ოდენობაზე, მაშინ მესაკუთრეს უფლება აქვს სარჩელი შეიტანოს იმავე სასამართლოში, რომელმაც განიხილა საექსპროპრიაციო სარჩელი.

2. სარჩელს სათანადო კომპენსაციის შესახებ თან უნდა დაერთოს:

- ა) მე-7 მუხლით გათვალისწინებული საექსპროპრიაციო ქონების დეტალური აღწერა;
- ბ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ოქმი;
- გ) საქართველოს საჯარო რეესტრიდან ამონაწერი საექსპროპრიაციო ქონების მესაკუთრეობის შესახებ;
- დ) საექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე სამართლო გადაწყვეტილების ასლი.

მუხლი 8. სასამართლოს მიერ საკომპენსაციო სარჩელის განხილვა

1. სასამართლო უფლებამოსილია, სათანადო კომპენსაციის ოდენობის დადგენის მიზნით დანიშნოს დამოუკიდებელი ექსპერტი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. დამოუკიდებელი ექსპერტი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში წარუდგენს სასამართლოს დასკვნას სათანადო კომპენსაციის თანხის შესახებ. დამოუკიდებელი ექსპერტის, აგრეთვე მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე

საბოლოო გადაწყვეტილებას სათანადო კომპენსაციის ოდენობის თაობაზე იღებს სასამართლო. გადაწყვეტილება სათანადო კომპენსაციის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში.

2. თუ სათანადო კომპენსაცია მეტია, ვიდრე ექსპროპრიატორის მიერ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გადახდილი საავანსო თანხა, სხვაობა გადახდილ უნდა იქნეს მესაკუთრისათვის სათანადო კომპენსაციის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ოცდაათი (30) დღისა. სასამართლო ასევე უზრუნველყოფს, რომ მესაკუთრემ მიიღოს ექსპროპრიატორის მიერ ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული საავანსო თანხა აღნიშნული ოცდაათი (30) დღის ვადაში. თუ სათანადო კომპენსაცია ნაკლებია ვიდრე საავანსო თანხა, ნოტარიუსი ექსპროპრიატორს დაუბრუნებს გადახდილი თანხის ზედმეტ ოდენობას სათანადო კომპენსაციის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ოცდაათი (30) დღის ვადაში.

მუხლი 9. ქონების იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია

საიდენტიფიკაციო და სარეგისტრაციო სამუშაოები, რომლებიც მანამდე არ ჩატარებულა, უნდა შეასრულოს საჯარო რეგისტრის ეროვნულმა სააგენტომ სავარაუდო ექსპროპრიატორის მიერ მოთხოვნილ ვადებში სავარაუდო ექსპროპრიატორის მიერ გაღებული შესაბამისი საფასურის გადახდის სანაცვლოდ.

მუხლი 10. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების (უფლების) გადაცემა პროექტისათვის

სახელმწიფოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა პროექტისათვის ხორციელდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. აღნიშნულ გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა გაიღოს სავარაუდო ექსპროპრიატორმა.

თავი III. დასკვნითი დებულებები

მუხლი 11. ძალადაკარგული ნორმატიული აქტები

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კანონი “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის შესახებ” (პარლამენტის უწყებანი №40(47) 1999წ.)

მუხლი 12. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს კანონი
საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და
დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.97) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1) მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის დ) პუნქტი:

„დ) სარჩელს ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“.

2) 46-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ე) ქვეპუნქტი:

„ე) მოსარჩელები – ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების და ექსპროპრიაციის დროს სათანადო კომპენსაციის ოდენობის შესახებ სარჩელებზე“.

3) მეშვიდე კარის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კარი მეშვიდე. საოჯახო საქმეების, რეკეტული ქონების ჩაშორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული საქმეებისა და ექსპროპრიაციის საქმეების განხილვის თავისებურებანი“.

4) კოდექსს დაემატოს შემდეგი შინაარსის XIV² თავი:

„თავი XIV² ექსპროპრიაციის უფლების მინიჭებ“

მუხლი: 356⁷ სარჩელი ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე.

1. სარჩელი ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე შეტანილი უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეცაა საექსპროპრიაციო ქონების ერთ-ერთი მესაკუთრის საცხოვრებელი ადგილი.

2. სასამართლო ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის შეტანის თარიღიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.

3. საექსპროპრიაციო ქონების მესაკუთრის ვინაობის დაუდგენლობა (მათ შორის რეგისტრირებული მესაკუთრის გარდაცვალების გამო), ფაქტობრივი ადგილსამყოფლის დაუდგენლობა, დროებითი ან ხანგრძლივი არყოფნა, მოპასუხი გამოუცხადებლობის არცერთი სხვა საპატიო თუ არასაპატიო მიზეზი არ შეაფერხებს სარჩელის განხილვას, რომელიც გაგრძელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ცნობის საფუძველზე.

4. სასამართლო ვალდებულია, საქმეში მესამე პირად ჩააბას ის ერთი ან მეტი სამთავრობო დაწესებულება, რომლის პირდაპირი ზედამხედველობის სფეროს განეკუთვნება პროექტი, რომლისთვისაც ხდება ექსპროპრიაციის უფლების მოთხოვნა. ასეთი მესამე პირი სარგებლობს მხარეთა ყველა საპროცესო უფლება-მოვალეობებით.

5. ექსპროპრიაციის თაობაზე საქმის განხილვისას არ გამოიყენება ამ კოდექსის XXVI თავის დებულებები.

მუხლი 356⁸ სასამართლო გადაწყვეტილება

1. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელში მოყვანილი გარემოებები და მტკიცებულებები საფუძვლიანია, მას გამოაქვს გადაწყვეტილება ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გამოაქვს გადაწყვეტილება ამგვარი უფლების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. დაუშვებელია სარჩელში მოყვანილი მოთხოვნის რაიმე სახით შეცვლა ან მოსარჩელისათვის იმაზე ნაკლების ან მეტის მიკუთვნება, ვიდრე ის თავის სარჩელში მოითხოვს.

2. სასამართლოს გადაწყვეტილება ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების შესახებ ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას ექსპროპრიატორის მიერ კომპენსაციის სააგანსო თანხის გადახდისთანავე, რის შესახებაც მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილების ტექსტში. გადაწყვეტილების გასაჩივრება არ შეაფერხებს მის დაუყოვნებლივ აღსრულებას.

3. სასამართლოს გადაწყვეტილება ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების ან მინიჭებაზე უარის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში გადაწყვეტილების გამოცხადებიდან შეიდი დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლო საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანის თარიღიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.

4. სააპელაციო სასამართლო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას საქმეზე, და დაუშვებელია საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს კანონი
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატების შეტანის
თაობაზე

მუხლი 1.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., №12) დაემატოს შემდეგი შინაარსის 173¹-ე მუხლი:

“მუხლი 173¹ სავარაუდო ექსპროპრიატორის ან ექსპროპრიატორის კანონიერი უფლების განხორციელებაში ხელის შეშლა ან ამ უფლების შეზღუდვა.

საექსპროპრიაციო ქონების აღწერის, შეფასების, ან ჩამოსართმევი ქონების საზღვრებში პროექტის საშუალოების დაწყებისა და/ან განხორციელებისას სასამართლოს მიერ სათანადო კომპენსაციის თანხის დადგენამდე ან დადგენის შემდეგ, სავარაუდო ექსპროპრიატორის, ექსპროპრიატორის, მათი წარმომადგენლების ან სხვა უფლებამოსილი პირების კანონიერი უფლების განხორციელებაში ხელის შეშლა ან ამ უფლების ნებისმიერი შეზღუდვა გამოიწვევს დაჯარიმებას მინიმალური ხელფასის ოცჯერადი ოდენობით.”

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს კანონი

სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის
ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ საქართველოს
კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №43, 1997 წ.) მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

“2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე უფლების “აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის (შეზღუდვის) წესის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად განკარგვის შემთხვევაში მესაკუთრისათვის გადასახდელი ანაზღაურების დადგენისა და მისი გადახდის წესი განისაზღვრება იმავე კანონით.”

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი